ეროვნული ბიბლიოთეკა
... ბიბლიოთეკა
თბილისი
F 56 80

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი მაისი 17
1921 წ.
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელისაბედი ვასილის ასული და მამა ივანე როსტომის ძე შვილებით: მიხეილით და ნიკოლოზით საგინოვები ღრმისი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ მეცხრე დღის შესრულების გამო მაისის 18-ს ოთხშაბათს 12 საათზე გადახდილი იქნება დიდუბის ეკლესიაში პანაშვიდი მათთვის ძვირფას დაუვიწყარ პირველების ქალისა და მეორეების დის საყვარელ 987

ოლღა საგინაშვილისა

ღრმად მწუხარებასა შინა მყოფნი: ქვრივი ემერენცია იოსების ასული შვილები: გრიგოლ და მარუსია, რძალი ელისაბედ ვლასის ასული, შვილიშვილი ელეონორა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ქმარი, მეორეების მამა, მესამესი მამამთილი და უკანასკნელის ბაბუა

ალექსანდრე პეტრეს ძე ექსანიშვილი

რომლის გამოსვენება ბინიდან (ელისაბედის ქ. 108) მოხდება მაისის 17 დღის 12 საათზე, მიასვენებენ პეტრე-პავლეს (კათოლიკების) ეკლესიაში (ნიკოლოზის ქუჩა) პანაშვიდის შემდეგ იქიდან წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე, სადაც მოხდება დასაფლავება. 992

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის დადგენილებით ქ. ტფილისში მაისის 22-სათვის დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების

კონფერენცია

კონფერენციის განსახილავ საგნებად დანიშნულია:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება,
2. საკონტროლო კომისიის მოხსენება,
3. მოხსენებები ადგილებიდან,
4. სამეცადინეო გეგმა და საორგანიზაციო საკითხები,
5. კაპიტალიზმი და მსოფლიო რევოლუცია,
6. ინტერნაციონალი,
7. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკონტროლო კომისიისა და
8. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის მეტრი: ყოველ 50 წევრზე ერთი დელეგატი, სადაც ამაზე ნაკლებია მაინც ერთი. **კონფერენცია ნებადართულია.**

დელეგატები ჩამოსვლისას მიმართავენ ამხ. ლომთაძეს (საღამოს 4—6 ს.) —ჭავჭავაძის ქ. № 9. ყოველგვარი მიმოწერა ცენტრალურ კომიტეტთან, კონფერენციამდე, ამავე მისამართით უნდა აწარმოოთ.

961 საქართ. ახალ. მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტი.

კბილის ექიმმა

აპოლონ ურუშაძემ

განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ფურცლები

26

ევროპის რეაქცია

ამ ბოლო დროს მეტად გამწვავდა ევროპის მდგომარეობა, ვერსალის შემდეგ ევროპის ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ეკონომიური რენესანსი, ის გამოცოცხლება, რომელიც 1918-1919 წლებში გამოჩნდა ევროპაში მძიმე ეკონომიური კრიზისებით შეიცვალა 1920 წლის მიწურულიდან და ეს ეკონომიურ ფინანსიური კრიზისი დღეს კიდევ უფრო მწვავდება.

მთელი საუკუნის განმავლობაში ევროპას არ მოსწრებია ის მეტად რთული და მძიმე მდგომარეობა, რომელსაც დღეს განიცდის. ჩვენ გულუბრყვილო მოქალაქეების შემეცნებაში ევროპა დასახულია ბუმბერაზ ძალად, ამ ძალას ვერავითარი ქარიშხალი ვერას დააკლებს და ვერც ევროპის რეაქციის ბატონობას ვინმე შეარყევს.

რეტროსპექტიულ თვალსაზრისს არ მივმართავთ იმის შესასწავლად თუ როგორ დალუპულა ძველს ისტორიაში ბუმბერაზი კულტურული სახელმწიფოები. მე-XIX საუკუნის ისტორიამ ჩვენ გვაჩვენებს ევროპის სისტემატიურ გაზრდას ჩვენ გვაჩვენებს ევროპის სისტემატიური და ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ევროპის თანამედროვე გიგანტების კატასტროფა.

ნამდვილად დღეს ჩვენ ვიმყოფებით ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების ლიკვიდაციის ხანაში, ჩვენ ვართ დიდი ევროპის სოციალისტური რევოლუციის გაჩაღების პროცესში.

რაშია საქმე? რას გვეუბნება ევროპის რეალური მდგომარეობა?

ერთი მთავარი მომენტი უნდა გავიგოთ. როგორც ისტორიული სინამდვილე: ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები ძლიერდებოდნენ მოქიშპე სახელმწიფოების და კლასების სრულს განადგურებით. ევროპაც ეკონომიური რენესანსი ხდებოდა ყოველი კონკურენციის გარეშე. არც ერთი სახელმწიფო ევროპას არ ჰყავდა კონკურენტად, არც ერთი ერი და არც ერთი კლასი არ არსებობდა გაუნადგურებელი. მეცხრამეტე საუკუნის ინგლისი მსოფლიოს მებატონე იყო, მსოფლიოს ერების და კლასების დამჩაგვრელი. ამ მთავარს ნიადაგზე ეგებოდა ინგლისის ისტორიული ძლიერება.

მკითხველ საზოგადოებამ იცის, რომ სედანის შემდეგ გერმანიამ დასცა საფრანგეთი და უმაღლეს წერტილამდე აიყვანა მშობლიური კაპიტალიზმი, მაგრამ გერმანიის მეტოქე იყო დასუსტებული საფრანგეთი და სრულიად ნორმალური ეკონომიური ურთი-ერთობა მთელს მსოფლიოსთან.

არავითარი ამის მსგავსი არ არსებობს ამ ჟამად. ევროპას ის დიდი მეტოქეები დაუმარცხებელი ჰყავს დღეს, რომელთაც დამარცხება კაპიტალიზმის აყვავების აუცილებელს პირობას შეადგენდა. მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე ინგლისმა საფრანგეთის რევოლუცია ჩაახრჩო, ხოლო მესამოცდაათე წლებში პარიზის კომუნა მოსპო გერმანიამ. რევოლუციონური ცეცხლის არსებობა და კაპიტალიზმის განვითარება წარმოუდგენელი წინააღმდეგობა, კაპიტალიზმი არასოდეს აყვავებულა რევოლუციის არსებობის პროცესში და ამ ჟამად ამ ფაქტს ჩვენ სავსებით გვიმტკიცებს თანამედროვე ევროპა. ევროპის კაპიტალიზმმა რუსეთის რევოლუცია ვერ გათელა ისე, როგორც გათელა თავის დროზე საფრანგეთის დიდი რევოლუცია და პარიზის კომუნა. რუსეთის რევოლუცია დღეს კიდევ უფრო ძლიერია ფიზიკურად და მორალურად ვიდრე ძლიერი იყო იგი 1920 წელში და წინაუკმო—ევროპის კაპიტალიზმი 1921 წელში გაცილებით უძლურია 1920 წელთან შედარებით.

ერთი უმთავრესი მომენტი ევროპის თანამედროვე ეკონომიური კრიზისისა არის რევოლუციის არსებობა ევროპის ზღუდეპირზე. მაგრამ არსებობს კიდევ ორი მომენტი ამ კრიზისის გამღრმავებელი. ეს არის ევროპის ეკონომიკის დაცემა და დაუძლურება ოკეანეს გაღმა ქვეყნებთან შედარებით. ვინ არ იცის, რომ თანამედროვე ომში მარტო გერმანია კი არ დამარცხდა, არამედ დამარცხდა საფრანგეთიც და ინგლისიც. ევროპის ანტანტამ თანამედროვე ომი ვერ მოიგო, ომის სვე-ბედი გადასწყვიტა მხოლოდ და მხოლოდ ამერიკამ. ამერიკის ეს ძალა საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენ კი აუცილებლივ უნდა აღვნუსხოთ, რომ ამერიკა ასეთ ძალას ამჟღავნებს ყოველს დიდს საეკონომიო—საფინანსო საკითხში. ვისაც რაიმე წარმოდგენა აქვს თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიურ ურთი-ერთობაზე მისთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკას მთელი ევროპა თავის ბრჭყალებში ჩაჭერილი ჰყავს და არსებითად გასაქანს არ აძლევს. აიღეთ თქვენ გერმანიის ერთი დიდი სათბობი მასალის რაიონის—რურის ოკუპაციის საკითხი. საკმაო გახდა ხმა ამოეღო ამ საკითხზე ამერიკას, რომ საფრანგეთს ანგარიშიც არ გაეწია ინგლისის პოლიტიკისათვის და უკვე გაბედული ნაბიჯი გადაედგა რურის ოკუპაციისათვის.

აი ეს მეორე უმთავრესი მომენტი—უძლიერესი კონკურენტების გაჩენის და არსებობისა საშუალებას აძლევს ევროპას ტრადიციული პერსპექტივას დაეყრდნოს და მისი იმედი იქონიოს.

ეხლა მესამე მომენტი მონა ერების არსებობა. ევროპის კაპიტალიზმს ანვითარებდა არა მარტო მუშების ექსპლოატაცია, არამედ ერების ექსპლოატაციაც დედამიწის ერთა და მოდგმათა უმრავლესობა მთელი საუკუნის განმავლობაში ევროპის სახელმწიფოების გავლენას ემორჩილებოდნენ, ეს მდგომარეობა არსებითად მხოლოდ თანამედროვე ომმა და რევოლუციამ შესცვალა. ევროპის ანტანტა ფაქტიურად გაკოტრებულია ამ მხრივ და ის სრულიად ვეღარ ახერხებს კაპიტალისტური პატრონობა გაუწიოს ყოფილ თავის ქვეშევრდომებს. ის ერები და კოლონიები რომელნიც დღესაც ფორმალურად ინგლისს ემორჩილებიან ფაქტიურად ოკეანეს გაღმა ქვეყნების გავლენის ქვეშ არიან. მშვენიერ ილიუსტრაციას ამისათვის რუსეთ-გერმანიის და რუსეთ-ინგლისის ურთი-ერთობა გვაჩვენებს. რუსეთი ომამდე გერმანიის და ინგლისის ეკონომიკის სრულს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. დღესაც ყველაზე მეტი ლაპარაკი რუსეთსა და ინგლისის ვაჭრობის განახლებაზეა, რუსეთის მთავარი რწმუნებული—კრასინიც ლონდონში მუშაობს უმთავრესად, მაგრამ ამ ლაპარაკის პროცესში გაცილებით ჩუმად და საქმიანად რუსეთზე გავლენა ამერიკამ მოიპოვა. აი პატარა, მაგრამ ძალიან საყურადღებო ცნობა. 1921 წლის იანვარში რუსეთს მიუღია იამბურგით და მურმანსკით 736713 ფუთი საქონელი. ამაში საქონელი იყო:

ამერიკიდან — 28,17 პროცენტი
ჰოლანდიიდან— 16,38 „
გერმანიიდან — 15,18 „
შვეციიდან — 11,19 „
ინგლისიდან — 10,20 „
დანიიდან — 6,52 „

აი ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი სიტყვა და საბუთი თანამედროვე ისტორიისა. ის, რაც ამ ცხრილშია, ისტორიულად უმაგალითოა, ეს ნიშნავს ინგლისის სრულს გაძევებას წინანდელ ბატონობის სფეროებიდან. ის, რაც აქ არის, სრულიად დამახასიათებელი მოვლენაა, ტიპიურია და სწორედ ეს მთავარი მოვლენაა ევროპას კაპიტალიზმის გახრწნისა.

ამ გვარად, ევროპის კაპიტალიზმის გაკოტრებას საბოლოოდ უდევს ის სამი ელემენტი, რომელიც წინად ევროპის კაპიტალიზმს აცოცხლებდა. ეს ელემენტებია: რევოლუციის არსებობა, ერების ეკონომიური დამოუკიდებლობა ევროპიდან და ოკეანეს გაღმა ქვეყნების ეკონომიური გაბატონება ევროპაზე. აი ამ მეცნიერულ შემეცნებით უნდა განვიხილოთ ევროპის დღევანდელი ამბები.

ამ წუთს ევროპაში რეაქცია მძვინვარებს. საფრანგეთის რეაქცია მოსისხლე მტრად მოევლინა გერმანიას, გერმანიის რეაქციონური მთავრობა ვირტის სახით ქედს იხრის საფრანგეთის წინაშე, გერმანიას ხელიდან ეცლება საარის და რურის ოლქი, მაგრამ ნიშნავს ეს ევროპის რეაქციის ნამდვილს გამარჯვებას?—ოდნავადაც არა.

ევროპის რეაქციას ვერ დაიხსნის მთელი გერმანიის ჩაყლაპვაც, როგორც გერმანიისათვის მარტო საფრანგეთის ჩაყლაპვას მთავარი მნიშვნელობა არა ქონდა. ევროპის რეაქციის კრიზისი მეტად ღრმაა, მას თანამედროვე ეკონომიურ ურთი ერთობაში ფართოდ აქვს ფესვები გადგმული და ამ ფესვებზე იზრდება არა კაპიტალიზმი და მისი რეაქცია, არამედ სოციალიზმი და რევოლუცია.

დღეს საშინლად აწიოკებენ და სტანჯავენ ევროპაში კომუნისტებს და რევოლუციონერებს. ეს რევოლუციის მოსპობა და რეაქციის გამარჯვებას იოტისოდენადაც არ ნიშნავს, პირიქით ეს ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობის გართულების მომასწავებელია, ეს წინამორბედია დიდი ევროპის დიდი რევოლუციის და ბრიანის—ჯორჯის ძველი პოლიტიკა არაპირდაპირ ამ რევოლუციის დაჩქარებაა.

მეტად რთულს და ისტორიულს ხანაში ვცხოვრობთ, ევროპის რეაქცია ღონემიხდილი იბრძვის არსებობისათვის, მაგრამ ისტორიას თავისი კანონები აქვს, იგი კი მიგვაქანებს ევროპის რევოლუციისაკენ რომელიც სრულიად ახალ ხანას შექმნის საერთაშორისო ცხოვრებაში.

თედო ღლონტი.

მუშათა ლაშქარი

ლონდონი, მაისის 2. საინტერესო სტატისტიკურ ცნობას იძლევა ინგლისის მუშათა პრესა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. სტატისტიკა 20 სახელმწიფოს შეეხება და იძლევა პროფკავშირების განვითარების სურათს 1910 წლ. მიწურულიდან 1919 წ. დამლევამდე. ამ 20 ქვეყანაში 1910 წ. შეკავშირებული მუშა 10.830,000 სულამდე ითვლებოდა. 1919 წ. ბოლოს ეს რიცხვი 32.680,000-დე გაიზარდა. შეკავშირებული მუშათა რიცხვი ყოველ თვითეულს სახელმწიფოში შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

	1910 წ.	1919 წ.
გერმანია	2,960,000	9,000,000
ინგლისი	2,400,000	8,024,000
შეერთებული შტ.	100,000	5,607,000
საფრანგეთი	977,000	2,500,000
იტალია	817,000	1,700,000
ავსტრია	200,000	772,000
ბელგია	139,000	750,000
ჩეხო-სლოვაკია	100,000	657,000
ავსტრალია	320,000	628,000
ჰოლანდია	154,000	625,000
უნგრეთი	80,000	500,000
კანადა	120,000	378,000
დანია	124,000	360,000
შვეცია	115,000	339,000
შვეიცარია	75,000	224,000
ესპანეთი	41,000	211,000
ნორვეგია	47,000	144,000
ახალი ზელანდია	57,000	100,000
ფინლანდია	15,000	41,000
სამხრეთ-სლავია	4,000	20,000

ამ სტატისტიკურ ცნობაში ჩანს როგორც ფიზიკურად ისე გონებრივ დ მომუშავე ყველა მუშაკნი.

მუშათა წერილები

იცდა აქვსი მაისი

ვისაც ესმის ღირსეულობა ერის დამოუკიდებელ ცხოვრებისა, მისი სუვერენიტეტისა, თავისუფლებისა და ერების საერთაშორისო ინტერესებისა, მას აგრეთვე უეჭველად უნდა ესმოდეს და შეგნებული ჰქონდეს მნიშვნელობა იმ 26 მაისისა, რომელსაც ყოველ წელს, ყოველ 26 მაისს საქართველოში ქართველები დღესასწაულობენ და უნდა იდღესასწაულონ ჩვეულებისა და წესისამებრ მიმდინარე თვის 26 მაისსაც.

საქართველოს აქვს თავისი ისტორიული დოკუმენტები, ნაშთები, ტრადიცია, უძველესი კულტურა და საკუთარი ენა, მაგრამ რუსეთის დიდ რევოლუციამდე მას ეს საკუთარი სახეობა თითქმის ნახევრად დაკარგული ჰქონდა იმ ხანგრძლივ მონობის პროცესში, რომელიც მან განიცადა რუსეთის იმპერატორების მონობის უღელ ქვეშ.

საქართველო რუსეთის იმპერიას უკვე ხელთ ეპყრა მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალისტური მანქანებით, ვინაიდან თავისუფალი და დამოუკიდებლად მცხოვრები პატარა ერი თავის კულტურულ შემოქმედებაში მუდამ რევოლუციონურია, რომელიც მიმართულია ყოველგვარი მონობის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რუსეთის პროლეტარულმა დიდმა რევოლუციამ დაამხო და მტვრად აქცია რუსეთის მინისტრების ასეთი ბოროტი პოლიტიკა და მყისვე წამოაყენა ერთი დიდი მნიშვნელოვანი ლოზუნგი, როგორც ეს შეჰფეროდა ნამდვილ რევოლუციონურ და კომინისტურ მებრძოლ ხალხს—ერთა სრული თვითგამორკვევა სრულს გამოყოფამდე.

მაგრამ რუსეთის რევოლუციის და მისი მებრძოლების, რუსეთის მშრომელი ხალხის ნებისყოფის წინააღმდეგ დგნენ რუსეთის შავი ბურჟუა-რეაქციონერები—მილიუკოვები, როძიანკოები, პურიშკევიჩები, კნიაზი ლვოვები და ასე წარმოიდგინეთ თვით „რევოლუციონერი" არისტოკრატი ალ. კერენსკიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი შავი ზრახვანი რუსეთის რეაქციონერებისა, რასაკვირველია მიმართული იყო რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ ვინაიდან, თუ შეჩერდებოდა რუსეთის მიერ დამონებული წვრილი ერების განთავისუფლება, მოკვდებოდა რევოლუციაც მაგრამ თუ გაიმარჯვებდა რუსეთის ხალხის ნების ყოფა—წვრილი ერები განთავისუფლდებოდნენ და გაიმარჯვებდა რევოლუციაც.

მაგრამ მოხდა სრულიად წინააღმდეგი მათი სურვილისა. რევოლუციამ გაიმარჯვა და ძველი საქართველოც, რომელიც მთელი ასოცდა ათი წლის განმავლობაში დატყვევებული იყო რუსის მთავრობის მიერ და ხუნდებ დადებულს ჟანდარმი ჰყავდა მცველად მიჩნეული, რომლის ბედსაც ძველი ჯალათი გენერლები და ბაზი-ბუზუკები განაგებდნენ —განთავისუფლდა და აღმართა დროშა ეროვნული და რევოლუციონური თავისუფლებისა.

დიახ, განთავისუფლდა ქართველი ხალხი რუსეთის ტირანიისაგან, გამოერკვია იგი ეროვნულად და თანახმად რუსეთის რევოლუციის ლოზუნგისა დაიწყო მან თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრება—სრული უფლების მიხედვით.

ეს დღე გახლავთ 26 მაისი, ეს ის დღეა, როდესაც მთელმა ქართველმა ხალხმა დიდი აქტით თავის ნების ყოფა აღიარა.

ამ ტრადიციულ დღეს ე. ი. 26 მაისს ჩვენ მთელი ქართველობა მიმდინარე წელსაც ვიდღესასწაულებთ.

მაგრამ, ვიდრე საქართველო, როგორც ყოფილი სახელმწიფო მკვდრეთით აღსდგებოდა და თავისუფალ ცხოვრებას დაიწყებდა, ბევრმა არა თუ რუსეთში, არამედ შიგნით საქართველოში მცხოვრებმა მოსახლე არა ქართველმა ტომებმა არ იცოდნენ ჩვენი ვინაობა ან და იცოდნენ მაგრამ მას შეგნებული შოვინიზმით უარყოფდნენ, მას ანგარიშს არ უწევდნენ და მთელი მათი „განათლების“ ენერგია საქართველოს [illegible] ფუჩეჩებისაკენ იყო მიმართული და ვინც ამას ჩადიოდა და ჩაიდენს დღეც, იგი არსებითად აკეთებდა და აკეთებს ახლაც ბნელ საქმეს რომანოვების დინასტიისას და მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა სთქვას გარკვევით, რომ იგი ხალხის მტერია, მტერია კულტურის, პროგრესის და ხალხთა ცივილიზაციის.

დღეს ზოგიერთებს ჯერ კიდევ ისე ჰგონიათ, რომ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხი, რომელიც გადაწყდა 26 მაისს, ეს იყო და არის პოლიტიკური აქტი მენშევიკური პარტიის იდეოლოგიის თვალსაზრისისა.

საკითხი ისე კი არ უნდა დავაყენოთ, რომ რაკი საქართველოში კომუნიზმი დამყარდა და მენშევიზმის დიქტატურა —ბოლშევიზმით შეიცვალა, აქედან თითქოს ის აზრი გამომდინარეობდეს, რომ საქართველოს სახელმწიფო როგორც დამოუკიდებელი თავისთავად აღარ არსებობდეს;—არამედ საკითხი ასე უნდა დავაყენოთ.

სოციალისტების კონგრესი, რომელიც მოხდა მეორე სიეზდზე იმიტომ კი არ დაიბადა იქ კომუნისტური იდეია, რომ იგი მარტო რუსეთის და ამიერ-კავკასიის ფარგლებს არ გასცილდებოდა არამედ დაიბადა ეს იდეია და რწმენა იმიტომ, რომ იგი უნდა გავრცელდეს მთელ კაცობრიობაზე რომლის უმთავრესი ფაქტორი იქნება ეგრედ წოდებული—ინტერნაციონალი.

მოდი ვსთქვათ რომ ხვალ ან ზეგ, გერმანიაში ანდა საფრანგეთში იქაურმა პროლეტარიატმა დაამხო თავისი ბურჟუაზიული მთავრობა, თავისი დიქტატურა გამოაცხადა და კომუნისტური ანუ საბჭოთა-ძალაუფლება დაამყარა—ნუ თუ ერთი წუთით მაინც ვინმე იფიქრებს, რომ საფრანგეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, გაქრება და მოისპობა? ვინ იფიქრებს ამას? რა თქმა უნდა ვერც ერთი ჭეშმარიტი სოციალისტი, გარდა იმათი, რომელნიც სხვა და სხვა ფეროვან ნიღაბ ქვეშ თავიანთ ბნელ და გოროზ საქმეებს აკეთებენ ორ თავიან არწივზე ოცნებობენ და საქართველოს თავისუფლებას ყვავყორნებივით თავს დასჩხავიან.

ყოველი ჭეშმარიტი სოციალისტი იმისა და მიუხედავად თუ იგი რომელ მიმდინარეობას ეკუთვნის, ამ გარემოებას, ამ სინამდვილეს შეგნებულად ანგარიშს უნდა უწევდეს და ფხიზელ დარაჯად უნდა უდგეს ხალხის თავისუფლებას.

თუ გულწრფელად გვსურს, რომ რევოლუციამ უნდა გაიმარჯვეს, რომლის შედეგიდან ხალხების თავისუფლება დარჩება—ეს გულწრფელობა რეალურ და პრაქტიკულ შემოქმედებაში უნდა გამოიხატებოდეს. სახეში უნდა იქმნას მიღებული ის გარემოება, რომ დღევანდელი სოციალისტური ძალთა განწყობილების, რაზმთა მწყობრები—მეტად სათუო და არა ბუნებრივი ელემენტებისაგან არიან შეზავებულნი რომელთა განწმენდა აუცილებელ პირობად უნდა დარჩეს რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებისთვის.

დღევანდელი ხალხთა მოძრაობის და რევოლუციის ფონს მიმცემი მთელს მსოფლიოში არის რუსეთი და ამ შემთხვევაში მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიქცეული, რომ ჩვენ მიერ ნაგულისხმევ ყვავ-ყორნებმა ეს რევოლუცია ბიუროკრატიულ შოვინიზმის და რუსული ნაციონალური პოლიტიკის სასარგებლოდ არ გამოიყენონ.

26 მაისს ქართველი ხალხი თავის სადემონსტრაციო მოედანზე ერთხელ კიდევ ეტყვის ხალხის მტრებს, რეაქციონერებს რომ—არ დაგანებებთ იმ თავისუფლებას, რომელიც რუსეთის დიდმა რევოლუციამ წარმოშვა და არ დაგანებებთ პირველყოვლისა საქართველოს თავისუფლების ემბლემას, რომელიც არის სამარადისო წმინდა სიმბოლო ქართველი ხალხის თავისუფლებისა.

მუშა დ. მელია.

ახალი ამბები

— **ხალიტერატურო განყოფილება.** [illegible] დამთავრდა ხელოვნების განყოფილებასთან სალიტერატურო ნაწილის ორგანიზაცია: შემუშავდა გეგმა მომავალ გამომცემლობისა და მოწვეულ იქნენ ხელმძღვანელნი. განზრახულია [illegible] გამოცემა: 1, თვიური ქართული ჟურნალი; პირველი ნომერი მაისში უნდა გამოვიდეს; 2) ყოველკვირეული ჟურნალი; 3) თანამედროვე ქართველ მწერალთა კრებულები, 5 კრებული ამ წლის განვლამდე, თითო კრებული 160 გვერდი; 4) არა თანამედროვე ქართველ მწერალთა კრებულები, 5 კრებული, 5) ევროპის და რუსეთის რჩეულ მწერალთა კრებულები—10 კრებული, თითოში 80 გვერდი, თვიური, კვირეულ ჟურნალის გამოცემას უკვე შეუდგა სალიტერატურო განყოფილება, საჭიროა ქართველმა მწერლებმა ყოველგვარი მასალა ამ ჟურნალისათვის—ლექსები მოთხრობები, სურათები, რომანები, ესკიზები, დრამები, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფია და სხვ. საჩქაროდ გამოგზავნონ ამ მისამართით: ლიტერატურული განყოფილება (ლორის მელიქოვის ქუჩა № 5, ყოფილი ამიერ-კავკასიის ბანკი.

ავტორები მიიღებენ შესაფერ ჰონორარს იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდება.

— **სახალხო სახლი** დღეს, მაისის 17 წარმოდგენილი იქნება „მაღაროს [illegible] მუშა“ და „სიძე სიმამრი“, შაბათს მაისის 21, იმედის დაღუპვა“. გადაწყვეტილია მაისის 28 გაიმართოს დამსახურებული მსახიობის ნ. გოცირიძის 25 წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავი წარმოდგენა.

— **26 მაისის სადღესასწაულოდ.** ქართველ მწერალთა კავშირის მიერ, დაარსებულია საგანგებო კომისია, 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად. კომისიის პირველი კრება დანიშნული იყო შაბათს 14 მაისს.

განაწესი საქართველოს „ხელოვნების მუშაკთა“ კავშირის გამგეობისადმი.

(ხელოვნების მუშაკთა 1 ლი ფართო საქალაქო კონფერენციის მიერ გამომუშავებული 18 აპრილის 1921 წ.

1. აღებულ იქმნეს აღრიცხვაზე ყველა წარმოება და დაწესებულებანი „ხელოვნების მუშაკთა“ კავშირისა. იქონიონ მათი ნამდვილი დახასიათება, განსაკუთრებით ეს ეხება წარმოებებს თუ დაწესებულებებს, რომლებიც ასრულებენ უფრო მეტ მნიშვნელოვან და რთულ წარმოებას.

2. თვალყური უნდა ედევნოს, რომ წარმოებებში აცილებულ იქმნეს ყოველი დამაბრკოლებელი მიზეზები, რაც კი აფერხებს წესიერ მუშაობას.

3. საჭიროა კავშირის საწარმოვო გეგმის შემუშავება თეატრის, მუსიკის და მხატვრობის და სხვათა დარგში და თვალყურის დევნა მისი ცხოვრებაში გასატარებლად.

4. მმართველობის ორგანოები, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ უნდა შედგენილი იქმნენ „ხელოვნების მუშაკთა“ კავშირთან ერთად სრულიად ხელოვნების მუშაკთა ყრილობის დადგენილ პრინციპებით, როგორც სავსებით მისადგები.

5. აუცილებლივ საჭიროა თათბირის შემოღება სამმართველოთა მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ეხებიან განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებაში, კავშირის გამგეობის ან და მის წარმომადგენლებთან ერთად და ამ გვარივე შემოღებულ იქმნეს ადგილობრივ ყველა წარმოებებში, სადაც დიდმნიშვნელოვანი საკითხები უნდა განხილულ იქმნეს წარმოების სამმართველოს მიერ ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად.

6. საჭიროა ხელოვნების განყოფილებამ დრო და დრო წარმოადგინოს ანგარიში თავისი მუშაობისა, როგორც ხელოვნების მუშაკთა გამგეობის, აგრეთვე კონფერენციის და ყრილობების წინაშე. ადგილობრივ კი, წარმოების გამგეობამ წარმოადგინოს ანგარიში წარმოების საზოგადო კრების წინაშე.

7. მოწესრიგდეს მუშა ხელის ნაყოფიერი გამოყენება წარმოებებში სპეციალ და არა სპეციალ-მუშათა განწესრიგების საშუალებით.

8. წარმოების ნაყოფიერ ორგანიზაციისათვის საჭიროა გაძლიერებული ბრძოლა შრომის დეზერტირობისა, გულგრილობისა და საქმეზე დაგვიანების წინააღმდეგ, რათა ყველა ეს დაწეულ იქმნეს მინიმალურ პროცენტამდის. ყველა ეს სამუშაო წარმოების დარგთა ორგანიზაციისა უნდა კეთდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების განყოფილებასთან ერთად, რათა საქართველოს „ხელოვნების მუშაკთა“ კავშირი სრულ კონტაქტში იყოს ხელოვნების განყოფილებასთან. საჭიროა ხელოვნების ყველა მუშაკთა კონფერენციის რომელიმე §§ თან შეერთება, სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების მცირე კოლეგიაში გაყვანა გადამწყვეტ ხმის უფლებით საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ერთი წარმომადგენლისა, ვინაიდან ამასვე თხოულობს კავშირის ეკონომიურ განყოფილების მიზანიც.

4. „რაბისის მიზანი კულტურულ განმანათლებელ დარგში. ამ დარგში ხელოვნების მუშაკთა გამგეობამ უნდა აწარმოვოს მუშაობა სამი მიმართულებით.

1. კულტურულ განმანათლებელ დარგში.

2. პროფესიონალურ-ტექნიკურ განვითარების დარგში.

3. წარმოების პროპაგანდის დარგში.

პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში:

უპირველესად უნდა აღმოიფხვრას ძველი წყობილებისა მემკვიდრეობა წერა-კითხვის უცოდინარობა, რისთვისაც უნდა გამოირკვეს უცოდინარობის რაოდენობა, საჩქაროდ მოეწყოს წარმოებებში მთელი წყება სკოლებისა (ორ-თვიანი) მოეწყოს ბიბლიოთეკა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს წარმოების ყველა დარგის მუშაკი, ვინც კი ჩვენს კავშირში შედის. საჭიროა ხელოვნების მუშაკთათვის ხშირად მოეწყოს ლექციები, მოხსენებანი, ექსკურსიები, თათბირები, დისპუტები, საინტერესო საკითხებზე და ბოლოს უნდა მოეწყოს ბინა, სადაც კავშირის წევრს შეეძლოს ხოლმე მშვიდათ და ნაყოფიერად გაატაროს თავისუფალი დრო, ე. ი. „ხელოვნების მუშაკთა“ კავშირის კლუბი.

შემდეგ, პროფესიონალურ-ტექნიკურ განათლების დარგში: კვალიფიციურ მუშათა, ახალი კადრის შექმნა, ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს კავშირისათვის. ამისათვის აუცილებლად საჭიროა, პროფსკოლების დაარსება: გრიმის გამკეთებელთა, დალაქთა, კინო-მუშათა, სცენაზე მომუშავეთა, რეჟისორთა და სხვათათვის: ყველა იმათთვის ვისთვისაც ამ სკოლების დაარსება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

მუშაობა პროპაგანდის დარგში·

რადიო

ნაუენი. მაისის 13. გაზ. „ვუნინგ“-ი, არჩევს რა ვირტის სიტყვას. სთვლის მას პატიოსან სიტყვათ. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის მთავრობამ განაცხადა თავისი დიდი კმაყოფილება გერმანიის მიერ ულტიმატუმის მიღების გამო. გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ლოჯმა განაცხადა, რომ ქვეყნიერება ძლივს, ცოტათი მაინც შეისვენებს და მსოფლიო ბაზარი ცოტაოდენათ დამშვიდდება.

ევროპა და რუსეთი.

პარიზი აპრილის 22. ბურჟუაზიული გაზ. „მატენ-“ი აღნიშნავს ევროპის სახელმწიფოების ნდობის გაძლიერებას საბჭოთა რუსეთისადმი. გაზეთს მოჰყავს შემდეგი განცხადება ამერიკის უდიდეს სინდიკატის წარმომადგენლის ვარდერლიპისა, რომელმაც ცოცხალი ეკონომიური ურთი-ერთობა მოაწყო საბჭოთა რუსეთთან:

საბჭოთა რუსეთიდან განუწყვეტლივ მოდის ოქრო ინგლისში და ინგლისის ბანკიც იღებს მას კასაში. ამერიკულმა გაზეთებმა აზრი იკითხეს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესაძლებლობაზე. აი საუკეთესო პასუხი, რომლის მიცემაც შეიძლება: 1920 წლის 29 აპრილიდან დღევანდლამდე ესე იგი ერთ წელიწადში, რუსეთში მოვიდა არა ნაკლებ 27 დიდი გემისა საქონლით. 150 გემი მოვიდა გერმანიიდან, 142—შვეციიდან და დიდძალი გემი ჰოლანდიიდან, დანიიდან ფინლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ყველა ამ საქონელში მისცეს ოქრო, რომელიც ინახება ინგლისის ბანკში.

ანტანტა გერმანიის შესახებ.

ნაუენი მაისის 1. ლონდონის გაზეთები სალამს უძღვნიან გერმანიის მთავრობის თავმჯდომარის ვირტის პირველ სიტყვას. „ტაიმსი“ ხაზს უსვამს ლოიდ-ჯორჯის განცხადებას, რომ მოკავშირენი მოვალენი არიან აასრულონ თავიანთი ვალდებულებანი პოლონეთში გერმანიის შესახებ.

ინგლისის ქვა ნახშირის მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა.

მოსკოვი მაისის 13. ლონდონიდან იუწყებიან: ნაოსნობა განიცდის არაჩვეულებრივ შეფერხებას, რადგანაც მეზღვაურებმა გაფიცულ მაღაროში მომუშავეთა თანაგრძნობა გამოუცხადეს და გაფიცვა მოაწყვეს. ინგლისის ტრანსპორტი ცუდ მდგომარეობაშია.

[illegible] მდგომარეობა ბესარაბიაში

ოდესა, მაისის 2. 1 მაისის დღისათვის რუმინეთის ხელისუფლებამ, რომელთაც ეშინოდათ მუშათა გამოსვლისა, რამდენიმე ქალაქში საალყო წესები გამოაცხადეს.

გერმანია.

ბერლინი. მაისის 3. ანტანტის ძალადობის შედეგები. საზღვარზე საბაჟო ზომათა მიღებისა გამო მაინცის ოლქში დიდძალი ვაგონები დაგროვდა. მათი რიცხვი უდრის ხუთი ათასს. მანჰეიმიდან მაინცში გადასაზიდ საქონლებს რკინის გზაზე აღარ დებულობენ. დიდძალი ვაგონები გროვდება აგრეთვე ბადენისა და ჰესსენის რკინის გზის ყველა შტოზე.

რეაქციონერების მუშაობა.

ბერლინი მაისის 5. გერმანული მემარჯვენე გაზეთები დაჟინებით და და განგაშებით აცხადებენ, რომ გერმანიის დიდი კომუნისტური საფრთხე მოელის და მოითხოვენ მისი ასალაგმავათ სათანადო წინასწარ ზომების მიღებას. რეიხსტაგის ტრიბუნაზე გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე მომხსენებელმა განაცხადა, რომ „აღმოსავლეთის საფრთხის გამო მემარჯვენე გაზეთების მიერ ატეხილ განგაშს მიზნათ აქვს მხოლოდ რეაქციის გაძლიერება. მემარჯვენე გაზეთები, ამბობს ორატორი, დებულობენ აქტიურ ზომებს და სამოქალაქო მილიციაში მუშების საწინააღმდეგოთ თავს უყრიან შეუგნებელ მოქალაქეთ.

პოლონეთი

ანტიბოლშევიკური ორგანიზაციების ლიკვიდაცია

ვარშავა. მაისის 3. გაზეთების ცნობით რიგის ხელშეკრულების გამო პოლონეთში ახლო ხანებში მოხდება ანტიბოლშევიკური ორგანიზაციების ლიკვიდაცია.

[illegible]

ბერლინი. მაისის [illegible] ტებმა საგრძნობ ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს მესამე ინტერნაციონალთან შეერთება.

კომუნისტების დევნა.

რიგა, აპრილის 26. გერმანიის პრესა იუწყება, რომ მთავრობის კომისრის გერზონგის განკარგულებით, შუა გერმანიის აჯანყებულ რაიონის ყველა კომუნისტი ბურგომისტრები დათხოვნილი არიან თავიანთ თანამდებობიდან.

წერილი რედაქციის მიმართ

ძალიან ხშირად ნაცნობები მომმართავენ შეკითხვით, სოციალისტ-ფედერალისტთა რომელ ფრთას ვეკუთვნი. ასეთ შეკითხვას ხშირად ემატება კომენტარიები, რომლებიც მაიძულებენ შემდეგი განვაცხადო. მე ყოველთვის ვეკუთვნოდი და ვეკუთვნი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას და დავრჩები ამ პარტიის წევრად იმ დრომდე, სანამ ძირითადი პირობა ყოველი პარტიისა,—მთლიანი, პარტიის ყველა წევრთათვის სავალდებულო პრინციპები და ტაქტიკა,—დაცულია სავსებით. პრინციპებსა და ტაქტიკას იმუშავებს პარტიის უზენაესი ორგანო, კონფერენცია. იმ დრომდე, სანამ პარტიულ კონფერენციას თავისი სიტყვა არ უთქვამს, ჩემთვის სავალდებულოა მხოლოდ ის დადგენილებანი, რომლებიც უკანასკნელი კონფერენციის მიერ იყო მიღებული. ამიტომ ყოველნაირი შეკითხვები სხვა და სხვა „ფრთის“ შესახებ და მით უფრო შეკითხვა იმის შესახებ, თუ რომელ „ფრთას“ ვეკუთვნი მე, გაუგებრობის შედეგად მიმაჩნია.

არ. ჯაჯანაშვილი.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა [illegible] ცენტრალური კომიტეტისა.

მაისის 20 საღ. 5 ს.,

საქართ. ახალგაზრდა მარქსისტთა 1-ლი რაიონის ორგან. საინიციატორო ჯგუფი იწვევს წევრთა

საზოგადო კრებას,

მომავალ კონფერენციაზე დელეგატების ასარჩევად. დასწრება სავალდებულოა.

კრება არ გადაიდება.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ივანე ანტონის ძე კვანტრიშვილის სახელზე, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 989

დაიკარგა გორის რაიონის მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილების ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად. კავშირის თავმჯდომარე გრ. შავიშვილი. 988

დაიკარგა უვადო ბილეთი მიღებული 1909 წელში ალექსანდრე ალმასხანის ძე სიხარულიძის სახელზედ წიგნაკი და სხვა ბარათები. რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 990

დაიკარგა შინაგან საქმეთა კომისარიატიდან მიღებული იარაღის ტარების ნებართვები: № 2581, ცხენის თავისუფლად გადადენის მოწმობა № 2563 და მატყლის კვიტანცია № 400 ასტან ალავერდი ოღლის სახელზე და იარაღის ტარების ნებართვაც № 2797 უსუფ ასტან ოღლის სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 991

დაიკარგა პასპორტი ზოსიმე იოსების ძე ბურდღელაძის სახელზე რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 987

ექიმი
ნ. ა. არუთინოვა
სპეციალურად სიფილისი (914 და 606 სქესობრივი უძლურება, ვენერიული [illegible] და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ტ.—2000 სტამბა „სახალხო საქმე“ [illegible]